ნომერი: 12-0118179206-60
თარიღი: 28.06.2018 09:06
ვადა: 28.07.2018

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 10-01181783037 განცხადების თარიღი: 27.06.2018
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

გზავნილი ზურაბ ლოლაშვილის საჩივარზე ბრძ 265

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 12-0118179206-60
28.06.2018 : 09:06
ქ. თბილისი 0160, გ.შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-01181783037**

თარიღი: **27.06.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ზურაბ ლოლაშვილის მიერ წარმოდგენილ 2018 წლის 14 მაისის N19/0118134164-01 ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებას - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 26 ივნისის N265 ბრძანების სახით.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი

პატივისცემით,

იურიდიული საქალაქო სამსახური - ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი



ჯუმბერ ყანდარელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება № 265

„ 26 „ ივნისი 2018 წ.

ზურაბ ლოლაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2018 წლის 14 მაისს ზურაბ ლოლაშვილმა წარმოადგინა N19/0118134164-01 ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური“) 2018 წლის 8 მაისის N3952773 გადაწყვეტილების გათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

ამავე კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, 2018 წლის 23 მაისს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორი ზურაბ ლოლაშვილი; დაინტერესებული პირი, შპს „ბაზიტის“ დირექტორი მიხეილ აღბეგაშვილი; მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი გიორგი ჭიჭინაძე.

ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 8 მაისის N3952773 გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს. ასევე განმარტებულია, რომ გასაჩივრებული აქტი ზიანს აყენებს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის კანონიერ ინტერესებს და ლახავს მის საკუთრების უფლებას.

საქმის განხილვისას გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორი დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

დაინტერესებული პირი დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და აღნიშნა, რომ სადავო აქტით ესპობა კუთვნილი უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა.

მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ სადავო აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძვლები.

დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ ზურაბ ლოლაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საჯარო რეესტრიდან 2018 წლის 23 აპრილის (2018 წლის 18 აპრილის N892018321119 განცხადება) ამონაწერით დგინდება, რომ ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ასმათის ქ. N13-ში მდებარე N01.72.14.035.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის შპს „ბაზიტი“.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 იანვრის N3796953 ბრძანებით დაკმაყოფილდა ზურაბ ლოლაშვილის 2018 წლის 5 იანვრის NAR1568642 განცხადება და დადგინდა სამშენებლოდ გამოყენების პირობები ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისთვის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2018 წლის 5 თებერვალს ზურაბ ლოლაშვილმა NAR1575162 განცხადებით მიმართა არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.

არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 8 მაისის N3952773 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ზურაბ ლოლაშვილის 2018 წლის 5 თებერვლის NAR1575162 განცხადება იმ საფუძვლით, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია განაშენიანებულია საკარმიდამო განაშენიანებით. ამავე გადაწყვეტილებით განმცხადებელს განემარტა, რომ ზემოხსენებულ გარემოში სივრცით-მოცულობითად განსხვავებული ობიექტის გაჩენა რადიკალურად შეცვლის კვარტლის ფარგლებში ჩამოყალიბებული განაშენიანების ხასიათს, გამოიწვევს დისონანსს და სამეზობლო თემის პრინციპების დარღვევას.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების (შემდგომში - „№57 დადგენილება“) 36-ე

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით, განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა“. ამავე დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, გარდა 38-ე და 39-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ამავე მუხლის თანახმად მშენებლობის ნებართვის I სტადიას წარმოადგენს ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადიას - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

№57 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიაზე ხდება არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება. ამავე დადგენილების 46-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიას, ამ დადგენილების შესაბამისად, წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებისათვის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს არქიტექტურული პროექტი ან/და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული სქემა ან/და ტექნოლოგიური სქემა. მშენებლობის ნებართვის მიღების II სტადიაზე მოწმდება წარდგენილი არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის, კონსტრუქციული ან ტექნოლოგიური სქემის შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, ზურაბ ლოლაშვილის მიერ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი 2018 წლის 5 იანვრის NAR1568642 განცხადებით მოთხოვნილი იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, რაზეც საჩივრის ავტორს უარი ეთქვა, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე საკარმიდამო განაშენიანების არსებობის საფუძვლით.

არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ირკვევა შემდეგი:

საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.703 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს N3479863 ბრძანებით დადგენილია სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით.

ასევე საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.710 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 8 სექტემბრის N3525471 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ამავე მიწის ნაკვეთისთვის 2016 წლის 3 ოქტომბრის N2867657 ბრძანებით დადგენილ

სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 მაისის N1851716 ბრძანებით დამტკიცებულია სამშენებლოდ გამოყენების პირობები საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული N01.72.14.035.801, N01.72.14.035.803, N01.72.14.035.810 და N01.72.14.035.811 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის, მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობის მიზნით.

არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 1 თებერვლის N3803072 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.796 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 ოქტომბრის N3586066 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.801 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ამავე სამსახურის 2017 წლის 14 სექტემბრის N3540346 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 დეკემბრის N3737867 ბრძანებით შეთანხმებულია ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 თებერვლის N3104404 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.347 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ამავე სამსახურის 2017 წლის 7 თებერვლის N3086097 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 დეკემბრის N3001426 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.143 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 ივნისის N3995470 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.702 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ამავე სამსახურის 2017 წლის 21 სექტემბრის N3555051 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

ამასთან, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას მიაქცევს საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ, არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოზე, რომლითაც ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროცესი.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული მიწის

ნაკვეთებისთვის არამხოლოდ დადგენილია სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით, არამედ რიგ მათგანზე შეთანხებულია არქიტექტურული პროექტები და გაცემულია მშენებლობის ნებართვები. ასევე დგინდება, რომ შეთანხებული არქიტექტურული პროექტებისა და გაცემული მშენებლობის ნებართვების საფუძველზე, მიმდინარეობს აღნიშნული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების პროცესი. ზემოხსენებულიდან გამომდინარე კი, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა სადავო აქტში მოყვანილი მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია გამოირჩევა საკარმიდამო განაშენიანებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე“, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, „საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას“.

ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მართალია, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების სამშენებლოდ განვითარება, წარმოადგენს არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროს, მაგრამ აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანო, პირველ რიგში, ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის - თანასწორობის დაცვა და არ დაუშვას სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში. შესაბამისად, როდესაც საკითხი ეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას იმ ტერიტორიაზე, რომლის განაშენიანებაც ხორციელდება უმთავრესად მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლებით, ნებართვის გამცემი ორგანო არ არის უფლებამოსილი, ჩააყენოს დამკვეთი განსხვავავებულ პირობებში და შეუზღუდოს მას კუთვნილი უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა, მიმდებარე ტერიტორიაზე საკარმიდამო განაშენიანების არსებობის საფუძვლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რაც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს

რაიმე ქმედება“, ხოლო 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა“. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, „თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას“.

აღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს არ უნდა მოხდეს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა და აღნიშნულ ფარგლებში მოქმედებისას უნდა მიეთითოს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის საფუძველზეც გამოიცა ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი. განსახილველ შემთხვევაში, სადავო აქტის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას საჩივრის ავტორის კანონიერი უფლებების შეზღუდვა განხორციელდა შესაბამისი დასაბუთების გარეშე, ხოლო გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის გადაწყვეტისათვის. კერძოდ, არქიტექტურის სამსახურმა ისე მიუთითა მხარეს მოცემული დასახლების საკარმიდამო განაშენიანების თაობაზე, რომ არ შეუსწავლია მიმდებარე ტერიტორიაზე გაცემული ბრძანებები სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე და ამავე ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო პროცესები.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ ზურაბ ლოლაშვილისთვის ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N01.72.14.035.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმა, მიმდებარე ტერიტორიაზე საკარმიდამო განაშენიანების არსებობის საფუძვლით, მაშინ როდესაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე, არღვევს თანასწორობის პრინციპს და ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ვინაიდან სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს, არსებობს არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 8 მაისის N3952773 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ამავე სამსახურისთვის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და ურთერთშეჯერების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV, VI, XIII თავების, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტისა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს ზურაბ ლოლაშვილის 2018 წლის 14 მაისის N19/0118134164-01 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 8 მაისის N3952773 გადაწყვეტილება.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
4. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
5. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული პირის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე